



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000014128123619

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 11

06 / ივნისი / 2019 წ.

დადგენილება

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მონყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მონყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09.02.2018, 010250020.35.162.016424) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დებულების მე-3 მუხლის:

ა) „დ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების, გენერალური და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფციების და პროექტების შემუშავებას;“

ბ) „დ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ¹“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ¹)“ მულტიმუნიციპალური სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავებელი ერთობლივი საბჭოს შემადგენლობის და დებულების პროექტის შემუშავებას;“

გ) „თ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ¹“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ¹)“ წინადადებების მომზადებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, მინის ნაკვეთისთვის ან/და შენობა-ნაგებობისთვის სამშენებლო განვითარების მიზნებისთვის შეუსაბამო მინის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სტატუსის მინიჭების, მინის ნაკვეთზე აუცილებელი გზისა და სერვიტუტის დადგენის, ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით;“

2. დებულების მე-4 მუხლის:

ა) „დ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების, გენერალური და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფციებისა და პროექტების შემუშავებას;“

ბ) „დ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ¹“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„დ¹)“ მულტიმუნიციპალური სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავებელი ერთობლივი საბჭოს შემადგენლობისა და დებულების პროექტის შემუშავებას;“


გ) „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საქმისწარმოებას მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით; წინადადებების მომზადებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, მიწის ნაკვეთისთვის ან/და შენობა-ნაგებობისთვის სამშენებლო განვითარების მიზნებისთვის შეუსაბამო მიწის ნაკვეთის ან/და შენობა ნაგებობის სტატუსის მინიჭების, მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზისა და სერვიტუტის დადგენის, ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით;“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია 
ელექტრონულად

თამარ ყვინიშვილი